ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №38
2023 წლის 1 სექტემბერი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველი ივლისის №21 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველი ივლისის №21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 07/07/2022, ს/კ 010250050.35.105.016636) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.დ“ ქვეპუნქტი:

„გ.დ) უნებართვოდ აშენებული ობიექტების მართვის და ლეგალიზების განყოფილება.“;

ბ) მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების სფეროში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თავისი კომპეტენციის განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროგრამების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი, უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებასთან, აგრეთვე 2007 წლის პირველ იანვრამდე დაწყებული და დაუმთავრებელი ობიექტის დასრულების ვადის და მის ლეგალიზებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული ფუნქციების შესრულება.“;

გ) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამსახურის ანგარიში მერს წარედგინება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ან მერის მოთხოვნიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში, საჭიროების შემთხვევაში მერი აძლევს მას მითითებებს, შენიშვნებსა და დავალებებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიგა ფარულავა**